## მესტენდურეები ისევ ისვრიან

საქართველოს მესტენდურეები კვლავ სოლიდურად გამოჩნდნენ საერთაშორისო სარბიელზე. კვიპროსში, ახლახანს, გაიმართა ორი ასპარეზობა — ქვეყნის დიდი პრიზისა და მსოფლიოს თასის გათამაშება. ჩვენი ნაკრები ორივე შეჯიბრებაში თამაზ იმნაიშვილის, გია შენგელიას და დავით ქვათაძის შემადგენლობით მონაწილეობდა.

კვიპროსის დიდი პრიზის გათამაშებაში ქართველმა მესტენდურეებმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს. მსოფლიო თასის გათამაშებაში კი, სადაც სხვა რომ არაფერი, 24 ქვეყანა სრული გუნდით იყო წარმოდგენილი, საქართველოს ნაკრები ასევე მეორე საპატიო ადგილს დაეუფლა.

ასე რომ, წლევანდელი სეზონი ჩვენმა მესტენდურეებმა კარგად დაიწყეს.

22–28 აპრილი, 1995 წ. ● №14 (10925)
ფასი 600 რუბლი, ან 175 000 კუპონი.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

# საქართველო — ალბანეთი

ევროპის ჩემპიონატის ამ შესარჩევი მატჩისათვის გუნდები ასეთი შემადგენლობით ემზადებიან:

**საქართველო**

აკაკი დევაძე, ირაკლი ზოიძე, ზაზა რევიშვილი, მურთაზ შელია, გიორგი ჩიხრაძე, დიმიტრი კუდინოვი, თემურ ქეცბაია, ბესიკ ბერაძე, კახი გოგიჩაიშვილი, გიორგი ქინქლაძე, შოთა არველაძე, გელა ინალიშვილი, გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი, დავით ყიზილაშვილი, ნუგზარ ლობჟანიძე, იური გაბისკირია, გიორგი ღუდუშაური, დავით ჯანაშია.

**ალბანეთი**

ფიტო სტრაკოშა, ბლონდი ნალბანი, რუდი ვატა, არიან ჩუმბა, სალვატორ კაცაი, სულეიმან დემოლასი, ბიედარ კოლა, ორჰენ ბელაი, ლეონარდ პრელოში, ალტინ რკალი, სოკოლ კუშტა, ინდრიხ ფორტუზი, ვილი შეხუ, ედმონდ დოსტი, სალმან მალკო, ედმონდ დალიპი, სოკოლ პრენგა, ჰიმენ ზმიანი, ლეფტერ მილო, არტურ ლეკბელო.

როგორც ამბობენ, ალბანელები თავიანთი საბრძოლო შემადგენლობით ჩამოდიან თბილისში, რაც შეეხება საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, ტრავმის გამო 26 აპრილს ვერ ვიხილავთ საფეხბურთო მოედანზე კახი ცხადაძეს, გოჩა გოგრიჭიანს, ამავე მიზეზით სათუოა აგრეთვე ზაზა რევიშვილის გამოსვლა. სამაგიეროდ, კარგა ხნის შესვენების შემდეგ ნაკრებში ითამაშებენ დავით ყიზილაშვილი („ომონია", კვიპროსი) და დავით ჯანაშია („სამტრედია"). არიან, აგრეთვე, დებიუტანტებიც: იური გაბისკირია („ტემპი", უკრაინა) და გიორგი ღუდუშაური („ფსვ სალმსორი", გერმანია).

## კალათბურთი ● საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი ● თბილისის სპორტის სასახლე ● უძლიერესთა ექვსეულის მატჩები

II წრე: „თორსი" — „კაქტუსი" 90:127, „მერანი" — „დინამო" 71:89, „აზოტი" — „ვითა" 71:113, „დინამო" — „აზოტი" 106:67, „მერანი" — „თორსი" 79:72. „კაქტუსი" — „ვითა" (მატჩი ჩაიშალა), ჩემპიონატი დროებით შეწყდა.

## შეიძლება უკალათბურთოდაც დავრჩეთ

თითქოს წესად იქცა: რაც ეროვნულია, არ გავუფრთხილდეთ, მეტიც, მტრულად მოვეკიდოთ. სამწუხაროდ, ჩვენივე „მსახვრალი ხელი" კალათბურთში ვაჟთა ჩემპიონატსაც შეეხო. ამასთან დაკავშირებით, 8 აპრილს „ლელოში" გამოქვეყნებული საგანგაშო სიგნალი, სამწუხაროდ, რეალობად იქცა. მას შემდეგ, რაც მეორე წრეში „კაქტუსი" — „ვითას" მატჩში, ყოვლად ალმაშფოთებელი ფაქტი მოხდა, ქართული კალათბურთი, რომლის ალმასვლა ასე გვეამაყებოდა, გარდაუვალი კრახის წინაშე ალმოჩნდა. ზემოაღნიშნული შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა („კაქტუსი" წინ იყო ქულით — 82:81). როცა მოედანზე შესეულ მაყურებელთაგან ერთ-ერთმა მსაჯს, 68 წლის ლევან ინწკირველს, მძიმე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. დიდი აურზაურისა და რბევის შემდეგ თამაში, ბუნებრივია, შეწყდა.

კალათბურთის ფედერაციამ ორთავე გუნდს წაგება ჩაუთვალა და თითო წლით პირობითი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, როგორც გუნდებს, ისე მოთამაშეებს, მწვრთნელებს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური. ამიერიდან თამაშის მსვლელობისას გუნდების სათადარიგოთა სკამზე ჯდომის უფლება ექნებათ მხოლოდ მწვრთნელებს, ექიმს და მასაჟისტს.

ფედერაციის სხდომაზე დამტკიცდა, რომ მსაჯს ლ. ინწკირველს ეპიზოდში, რამაც ანებით გაიმართება. უნდა ვთქვათ: კალათბურთში, სადაც 70 წელს მიღწეულ კაცს ამსაჯებენ თამაშებს, ყველაფერია მოსალოდნელი. ჭერჭერობით მსაჯობას დაუბრუნდა მხოლოდ გოგი ავალიშვილი. გავრცელდა ხმები თითქოს ამ ინციდენტთან დაკავშირებით ეროვნული ნაკრებიც დაისჯებოდა, რაც არ გამოდგა მართალი.

სპორტის დეპარტამენტი კატეგორიული პრინციპულობით ეკიდება ჩვენს კალათბურთში შექმნილ ვითარებას. ალბათ ყველაფერი ოპერატიულად მოგვარდება, ამდენად, საკითხის კოლეგიაზე განხილვა შეიძლება საჭიროც აღარ გახდეს.

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**

**პირველი ჯგუფი**

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები:

**XXII ტური**

„დურუჯი" (ყვარელი) — „სამტრედია" (სამტრედია) 0-1,
„ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (ბათუმი) 4-2,
„კოლხეთი-1913" (ფოთი) — „შევარდენი-1906" (თბილისი) 4-1,
„დინამო" (თბილისი) — „გურია" (ლანჩხუთი) 4-0,
„კახეთი" (თელავი) — „მარგვეთი" (ზესტაფონი) 0-2,
„სამგურალი" (წყალტუბო) — „დილა" (გორი) 1-0,
„საპოვნელა" (თერჯოლა) — „ივერია" (ხაშური) 2-2,
„დინამო" (ზუგდიდი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1-0.

## ჩვენი მეტოქე უიმედო აუტსაიდერი როდია!

**ალბანეთი ევროპულ სპორტულ ცხოვრებაში მაინცდამაინც დიდი აქტიურობით არ გამოირჩევა, მაგრამ ფეხბურთი ამ მხრივ გამონაკლისია. ეს პატარა ქვეყანა (28,748 კვ. კმ 2,6 მილიონი მცხოვრები, საშუალოდ 1 ფეხბურთელი 473 კაცზე) ცდილობს არ გამოაკლდეს არც მსოფლიოსა და ევროპული ჩემპიონატების შესარჩევ და არც კონტინენტის საკლუბო ტურნირებს.**

ალბანეთის ნაკრებისათვის, რომელიც ევროპის ჩემპიონატის VII შესარჩევ ჯგუფში ასპარეზობს, რა თქმა უნდა, ძალზე ძნელია დიდი გამოცდილების გუნდებთან ბრძოლა. მან პირველი ოთხი შეხვედრა წააგო, მაგრამ, შეიძლება ითქვას, არც ერთ მათგანში თავი არ შეურცხვენია. საინტერესოა, რომ ევროპულ ჩემპიონატამდე უკანასკნელი მატჩი მან მოიგო თითქმის სამი წლის წინათ, 1992 წლის 3 ივნისს ტირანაში ლიტველებთან, ანგარიშით 1:0 (მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში). ამიტომ ალბანელი გულშემატკივრების დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია 29 მარტს ტირანაში მოლდაველების დამარცხებამ.

აი, ალბანელთა შემადგენლობა ამ საყურადღებო მატჩში: სტრაკოშა (ნალბანი), ვატა, კაცაი, მალკო, შულკუ, დემოლარი, აბაზი, ბელაი, კუშტა, რაკლი, ჩუმბა (ფორტუზი). ჩვენი გულშემატკივრები იცნობენ ზოგიერთ ამ ფეხბურთელს, რაც შეეხება თვით მატჩს, აქ მათ აშკარა უპირატესობა ჰქონდათ, რაც აისახა კიდეც ანგარიშში, პირველი ბურთი 32-ე წუთზე კუშტამ გაიტანა, 42-ე წუთზე კაცაი მეორე გოლის ავტორი გახდა, რამაც, ფაქტობრივად, გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. 79-ე წუთზე იმავე კუშტამ კიდევ ერთი ბურთი მოათავსა მეტოქის კარში და ალბანელებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 3:0. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა თეორიულად 4 გუნდი ინარჩუნებს მესამე ადგილისათვის ბრძოლის შესაძლებლობას მაშინ, როდესაც ინგლისის 2 საგზური, ფაქტობრივად, უკვე დაჯავშნული აქვთ

იხ. მე-3 გვ.

## გიორგაძე იწყებს და იგებს

კრასნოდარის მხარის ქალაქ კროპოტკინში დაიწყო მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი.

ჩვენს თანამემამულესთან გია გიორგაძესთან ერთად ტურნირში გამოდიან: ვიტალი ცეშკოვსკი, სერგეი ტივიაკოვი, ალექსანდრე პოლულიახოვი (ყველა — რუსეთი), სმბატ ლპუტიანი (სომხეთი), ჯონათან სპილმენი (ინგლისი), ვლადიმერ მალანიუკი (უკრაინა), ლაიოშ პორტიში (უნგრეთი). მონაწილეთა საშუალო რეიტინგი 2579 ქულაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტურნირს ფიდეს XIV კატეგორია აქვს მინიჭებული.

პირველ ტურში ოთხიდან მხოლოდ ერთი შეხვედრა (სპილმენ-ტივიაკოვი) დამთავრდა ყაიმით. გიორგაძემ მოუგო პოლულიახოვს, ლპუტიანმა — მალანიუკს, პორტიშმა (შავებით) — ცეშკოვსკის.

უკანასკნელი ცნობით ლიდერებს — გიორგაძესა და სპილმენს 3-3 ქულა აქვთ (ოთხიდან).



## გავრილ კაჩალინი: ვსწავლობდი ჩემი გუნდებისგან

**გავრილ კაჩალინი... თბილისის „დინამო".**

**დიდი მწვრთნელი, დიდი გუნდი, ყოფილი საბჭოთა ფეხბურთის ისტორია.**

**თუმცა რატომ საბჭოთასი? რა თქმა უნდა, რუსეთისაც! ეს ხომ ჩვენი დღევანდელი ფეხბურთიცაა და მას თავისებურად ჰქმნიდნენ გავრილ კაჩალინი და მრავალი საფეხბურთო ტალანტის მშობელი რესპუბლიკა.**

**64 წელს კაჩალინისა და თბილისის „დინამოს" გზები გადაიკვეთა, რამაც დღემდე დაუვიწყარი, დიდი გამარჯვება მოუტანა თბილისელებს, ქვეყნის ჩემპიონატებში — პირველი, რომელიც მათ ტაშკენტში, ტორპედოელებთან დამატებით მატჩში მოიპოვეს.**

**ამას დღეს აუღელვებლად ვერ იხსენებს დიდი მწვრთნელი, კარგა ხანია მეცხრე ათწლეულში რომ შეაბიჯა...**

... კარგად მახსოვს, როცა სამუშაოდ მიმიწვიეს თბილისში, ყველაფერი ჩემს თანხმობაზე იყო დამოკიდებული. არც მოსკოვის „დინამოსა" და არც სპორტკომიტეტს არაფერი ჰქონდათ საწინააღმდეგო. ერთი პირობა ვიყოყმანე. ღალატია? ჩემი მშობლიური კლუბი, მოსკოვის „დინამო", მანამდეც, და სამოცდაოთხი წლის შემდეგაც სხვა გუნდებს უხვად გასცემდა მწვრთნელებს — იაკუშინი, მე, ბესკოვი... ისე, რომ, არავითარი „ღალატი" არ ყოფილა, მით უმეტეს, რომ ისევ დინამოელებს უნდა გავძღოლოდი. ერთადერთი სიძნელე ის გახლდათ, რომ ახალი გუნდი ფსიქოლოგიურად უნდა განმეწყო მოსკოველ თანაკლუბელებთან საბრძოლველად.

გუნდი, ქალაქი შესანიშნავად შემხვდნენ. მხოლოდ იმის მეშინოდა, რომ გუნდში „ახალი ცოცხის" სინდრომი არ გაჩენილიყო, მაგრამ ამის მსგავსი არაფერი შემიმჩნევია — სრული ურთიერთნდობა. საქართველოში ყველას სურდა ჩემში ჯადოქარი დაენახა. მაგრამ მე ჯადოქარი კი არა, უბრალოდ, მწვრთნელი ვიყავი.

X X X

დაგეგმილი მქონდა მარტო „დინამოსთან" მემუშავა, სინამდვილეში კი მთელი რესპუბლიკის ფეხბურთი დამაწვა ტვირთად. ალბათ, ელით რომ ვილაპარაკო ქალაქის ხელმძღვანელების საწვრთნელ პროცესში ჩარევაზე, გასახდელში მატჩისწინა პარტიული ხაზით „შეხურებაზე"? ამის სახსენებელიც არ ყოფილა და მიმაჩნია, რომ იმათი მხრიდან, ეს ნამდვილი გმირობა იყო. თითოეულ ქართველ მამაკაცს ხომ ფეხბურთის დიდ სპეციალისტად მიაჩნდა თავი...

X X X

თვით ფეხბურთელებმა კი პირდაპირ მომაჯადოვეს. ტექნიკით — პირველ ყოვლისა. ვთქვათ „არარატი" და „ნეფთჩიც" ტექნიკურებია, მაგრამ ამ მხრივ ქართველებს ვერ შევადარებ. ყოველთვის ბრაზილიური ფეხბურთის თაყვანისმცემელი ვიყავი. და აი თბილისში თითქმის იგივე ვნახე... ტექნიკა მათ ბუნებრივად მოსდევთ. რუსების მსგავსად, ზამთრობით ვიწრო დარბაზებში როდი იყუჟებიან, სადაც თავგი კუდს ვერ მოიქნევს. მთელი წელიწადი ბუნებრივ მინდვრებზე არიან! გამიმართლა იმ მხრივ, რომ გუნდში კარგი ხალხი იყო, მაგრამ სხვა პრობლემა გამიჩნდა — მიზეზითა და უმიზეზო გაუთავებელი ქართული ქეიფი ღვინის შადრევნებით, რასაც ბოლომდე მაინც ვერ გავუმკლავდი. იქ ბურახივით სვამენ ღვინოს, პატარაობიდან. საკუთარი ვენახები აქვთ... საერთოდ, არ ვსვამ, მაგრამ იქ გავსინჯე — წარმოიდგინეთ, შესანიშნავი ღვინო იციან. მატჩის წინ, ორი-სამი დღით ადრე სახლებში დავდიოდი და ვთხოვდი ნათესავებს თვალყური ედევნებინათ ფეხბურთელები-

იხ. მე-3 გვ.

## ევროპის საკლუბო ტურნირები

18 აპრილს გაიმართა უეფას თასის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრები, რომლებმაც საბოლოოდ გადაწყვიტეს ამ პრიზის ფინალისტთა საკითხი.

ნახევარფინალს თანაბრად შემორჩა იტალიის 2 და გერმანიის 2 გუნდი. საპასუხო შეხვედრებში „პარმას" ფეხბურთელებმა შინ ანგარიშით 3:0 დაამარცხეს გერმანიის ქ. ლევერკუზენის „ბაიერი" (პირველი მატჩი მათ მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 2:1), ხოლო დორტმუნდის „ბორუსიამ", ასევე საკუთარ მინდორზე, ანგარიშით 1:2 წააგო იტალიის „იუვენტუსთან" (პირველი მატჩი — 2:2).

ამრიგად, ფინალში (ორი შეხვედრა) ერთმანეთს შეხვდებიან იტალიის გუნდები „პარმა" და „იუვენტუსი".

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალები: „პარი სენ-ჟერმენი" (საფრანგეთი) — „მილანი" (იტალია) 0:2, (პირველი თამაში მოიგო „მილანმა" — 1:0), ხოლო გერმანიის „ბაიერნმა" წააგო ჰოლანდიის „აიაქსთან" 2:5 (პირველი მატჩი — 0:0).

ამრიგად, ჩემპიონთა ლიგის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „მილანი" და „აიაქსი".

## ნორჩ მძლეოსნებს სტიმული მიეცათ

ის ევროპელები, რომელთაც ჭაბუკთა ოლიმპიური დღეების მოწყობა მოიფიქრეს, ნობელის პრემიის იქნებ არა, მაგრამ ჯილდოს ღირსნი ნამდვილად არიან. ეს ჩვენ უფრო გვეთქმის, რადგან ბოლო წლებში ჩვენს ყმაწვილი სპორტსმენებიდან ბევრს გასაქანი თითქმის აღარ აქვს და ეს ასპარეზობა, რომელიც ყოველ მეორე წელს ტარდება, კარგ სტიმულად იქცა მათთვის. ამ შეჯიბრებებში მონაწილეობა კი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მზრუნველობით ხდება.

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ უკვე ჩაატარა ორი შეჯიბრება ახალგაზრდა მძლეოსნების მომზადების დონის გამოსავლენად.

...მიხეილ კალაძემ ბირთვის კვრაში 15,17 მეტრი აჩვენა და საგრძნობლად მიუახლოვდა ინგლისში საასპარეზოდ დაწესებულ ნორმატივს, ზუგდიდელმა დავით ჯიჭონაიამ სიგრძეზე ხტომაში 6,60 მეტრი დაძლია და რეალურად განაცხადა პრეტენზია ინგლისში გამგზავრებაზე. მისმა თანაქალაქელმა ლევან ნადარაიამ ორ წამზე მეტით გააუმჯობესა პირადი შედეგი 400 მეტრზე რბენაში (53,5), თითქმის 60 სანტიმეტრი მიუმატა პირად მიღწევას მარგალიტა ლომაძემ (სიგრძეზე ხტომა — 530 სმ), კარგად იასპარეზეს ნინო ბალაშვილმა (60 მ — 8,1) ირინა ძებისაშვილმა (7,9), ლეილა საფაროვამ (7,2)...

რაც შეეხება „უფროსთა საქმეებს", მძლეოსნობის ფედერაცია თავისი მეორე ყრილობისათვის ემზადება.

# უახლოესი მიზანი ევროპის ჩემპიონატია

**წლეულს საქართველოს ძიუდოისტებს ორი დიდი ტურნირი აქვთ მოსალევი. ერთი მათგანი — ევროპის ჩემპიონატი 11 მაისს დაიწყება ბირმინგემში (ინგლისი), მეორე — მსოფლიოს ჩემპიონატი კი უფრო მოგვიანებით (სექტემბერი) გაიმართება ტოკიოში. ასე რომ, ყველა სხვა ასპარეზობაში მონაწილეობა, თავისთავად, მიზნად ისახავს ამ ორი ჩემპიონატისათვის სამზადისს. ევროპის ჩემპიონატის წინ თავისებურ გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენდა აპრილის პირველ რიცხვებში ჰერტოგენბოში (ჰოლანდია) გამართული „ა“ კლასის ტურნირი, რომელშიც 35 ქვეყანა მონაწილეობდა და იგი პირადი ხასიათისა იყო. ამ შეჯიბრების შედეგებზე და ქართველ ძიუდოისტთა პერსპექტივებზე იყო საუბარი „ლელოს“ კორესპონდენტისა და საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის ბიძინა მაზიაშვილის შეხვედრაზე.**



— ჰოლანდიაში საქართველოს ნაკრები გაემგზავრა ასეთი შემადგენლობით: გიორგი ვაზაგაშვილი (60 კგ), გიორგი რევაზიშვილი (65 კგ), სოსო ლიპარტელიანი და გიორგი წმინდაშვილი (78 კგ), ივერი ჯიქურაული (86 კგ), მევლუდ ლობჟანიძე (95 კგ), ალექსანდრე დავითაშვილი (+95 კგ).

● **თქვენ, თუ არ ვცდებით, ერთი წონა გამოგრჩათ — 71 კილოგრამი, თანაც არ დაასახელეთ ოლიმპიური ჩემპიონის დავით ხახალეიშვილის გვარი. ხომ არ მოხდა რაიმე, საგანგაშო?**

— საპანიკო არაფერია. 71 კილოგრამის თაობაზე ქვემოთ მოგახსენებთ ყველაფერს. ოლიმპიური ჩემპიონი კი იმიტომ ვერ წამოვიდა ჰოლანდიაში, რომ ამ დროს იგი პარიზში მონაწილეობდა მძიმეწონოსანთა ერთ-ერთ კომერციულ ტურნირში. ეს კი არა, ზემოჩამოთვლილ მოჭიდავეთაგან ორნი — ვაზაგაშვილი და ლიპარტელიანი ჰოლანდიის სარბიელზე არ გამოსულან. ვაზაგაშვილის დასვენება მწვრთნელთა საბჭომ დაგეგმა, ლიპარტელიანს კი დისკვალიფიკაციის ვადა აპრილის ბოლოს უმთავრდება.

● **საინტერესოა, როგორ ფორმაშია ვაზაგაშვილი?**

— ამ კითხვაზე პასუხი გიორგიმ მარტში გასცა, როცა საფრანგეთის „ა“ კლასის ტურნირზე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ზედა წონაში. ეს ნამდვილი სენსაცია იყო და გიორგის შესაძლებლობების მაჩვენებელიც.

● **გამოდის, რომ ოთხ წონაში გიჭიდავიათ.**

— დიახ, ოთხ წონაში ვიჭიდავეთ და სამი საპრიზო ადგილი დავიკავეთ: გიორგი რევაზიშვილმა პირველი პრიზი დაიმსახურა, მევლუდ ლობჟანიძემ და ალექსანდრე დავითაშვილმა კი მეორე.

● **ამ წარმატებას, ბუნებრივია, გილოცავთ. თანაც გვაინტერესებს, როგორ გამოვიდნენ წმინდაშვილი და ჯიქურაული?**

— თელაველი წმინდაშვილი კარგი ბიჭია, მაგრამ ასეთი დონის ტურნირებისათვის ჯერ გამოუცდელია. მან პირველივე ბრძოლა წააგო და ასპარეზობას გამოეთიშა, ვინაიდან მისმა მძლეველმა შემდგომში ვერ ივარგა.

● **ჯიქურაულს რაღა დაემართა, მას ხომ არ აკლია გამოცდილება?**

— ივერი 86 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეა, ამჟამად კი წონა აქვს მომატებული და არ გვინდოდა, რომ დაეკლო. ერთხელ წონის დაკლება მას ისედაც მოუხდება ევროპის ჩემპიონატის წინ. მით უფრო, რომ იგი თავის წონაში შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორია. ზედა წონაში გამოსვლას კი აზრი არა ჰქონდა, თანაც შეიძლებოდა ტრავმა მიეღო.

● **როგორი შთაბეჭდილება დატოვეს პრიზიორებმა?**

— რევაზიშვილმა ყველა ორთაბრძოლა წმინდად მოიგო. ფინალში ფრანგ ნასერ ნეჰარის დასამარცხებლად წუთნახევარი დასჭირდა. ლობჟანიძემ ფინალში ჰოლანდიელ როჟე სმულდერს ბოლო წამებზე კოკა დაუთმო. დავითაშვილს კი გამოცდილ გერმანელ ფრანკ მიოლერთან მოუხდა ბრძოლა და ამ უკანასკნელმა აჯობა ჩოქბჯენში. საერთოდ, ჩვენი ბიჭები მუდამ მოისუსტებდნენ ჩოქბჯენში, განსაკუთრებით მძიმეწონოსანნი. ასე რომ, ამ ნაკლს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ახლა 71 კილოგრამ წონით კატეგორიაზე მოგახსენებთ.

ეს წონა, აგერ უკვე რამდენი ხანია, ჩვენი „აქილევსის ქუსლია“. და მგონი, როგორც იქნა, საშველი დავადგით. მარტის შუა რიცხვებში საქართველოს პირველობა ჩავატარეთ, ყველაზე ბევრი მონაწილე სწორედ ამ წონაში გვყავდა, მოვიპატიჟეთ სამბისტებიც. გამოვაცხადეთ, რომ გამარჯვებული ულაპარაკოდ წავიდოდა ევროპის ჩემპიონატზე, ყოველგვარი დამატებითი გამოცდის გარეშე. ჩემპიონატი მოიგო საგარეჯოელმა მამუკა კურდღელაშვილმა და ნაკრებიც შეივსო. ახლა ამ „შესანიშნავ შვიდეულს“ დაემატება დავით ხახალეიშვილი და... გუნდიც მზად იქნება ევროპის ჩემპიონატზე საბრძოლველად.

● **მაგრამ ჯერ ხომ დროა ბირმინგემის სტარტამდე. როგორ აპირებთ დარჩენილი დღეების შევსებას?**

— არაფერი გვაქვს შესავსები. 24 აპრილს გუნდი მიემგზავრება კიევს და იქ, ოლიმპიურ ბაზაზე უკრაინის, იუგოსლავიისა და ისრაელის ძიუდოისტებთან ერთად წინასაშეჯიბრებო შეკრებას გავივლით. მანამდე კი კალენდარული ვარჯიშები გვექნება.

● **კიდევ ხომ არ გსურთ რამეს თქმა?**

— ერთი სასიამოვნო ამბავი უნდა ვამცნო ძიუდოს მოყვარულებს. ადრე ჩვენ ორი საერთაშორისო კლასის არბიტრი გვყავდა — ანზორ ქიბროწაშვილი და გიორგი აბრამიანი, რომლებმაც თავი დაანებეს აქტიურ სპორტს. და აი, ახლახან გორელმა ბორის გოგიჩაიშვილმა და დუშელმა მერაბ ლოსეურაშვილმა ღირსეულად დაიკავეს მათი ადგილები, ბრწყინვალედ ჩააბარეს საკლასიფიკაციო გამოცდა და მიიღეს ევროპის ჩემპიონატზე მსაჯობის უფლება, რაც მათ საბოლოო აღიარებას ნიშნავს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

**სურათზე: საქართველოს ნაკრების ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): გიორგი რევაზიშვილი, მევლუდ ლობჟანიძე, სოსო ლიპარტელიანი, ბიძინა მაზიაშვილი (მწვრთნელი), ივერი ჯიქურაული და მამუკა კურდღელაშვილი.**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## მილოცვები



საქართველოს ცურვის ფედერაცია, ვეტერანი მოცურავეები და მეგობრები დაბადების დღეს ულოცავენ 50-იან წლების რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრს, საქართველოს მრავალგზისა და ჩვენი ქალებიდან სსრ კავშირის პირველ ჩემპიონს თავისუფალი სტილით ცურვაში, ნორჩ მოცურავეთა თაობების აღმზრდელს ლია ფაჩულიას.



მეგობრები და ქართული სპორტის გულშემატკივრები დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავენ შესანიშნავ პიროვნებას და მოქალაქეს, მიხეილ ლაზოშვილს, რომელსაც, როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ წევრს, თავისი მოკრძალებული წვლილი მიუძღვის ქართული ფეხბურთის სახელის განდიდებაში.

„ლელოს“ რედაქცია უერთდება ამ მილოცვას და მრავალჟამიერ კეთილდღეობას უსურვებს გაზეთის დაარსებიდან მის ერთგულ ქომაგსა და გულშემატკივარს.

# დაიხსომეთ — რობერტ ცხოვრებაძე!

**ველოსპორტის მოყვარულებს ვურჩევთ დაიხსომონ ეს გვარ-სახელი რობერტ ცხოვრებაძე, წარსულში ცნობილი ველოსიპედისტის ალექსანდრე ცხოვრებაძის ვაჟი, რომელსაც ამ დღეებში 16 წელი შეუსრულდება.**



ნიჭიერ ყმაწვილზე ყურადღების გამახვილება, თავის მხრივ, გვთხოვა საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის ახლახან არჩეულმა პრეზიდენტმა ბიჭიკო ასკურავამ, რომელიც ჩვენს გუნდს თან ახლდა 3-8 აპრილს თურქეთის მრავალდღიან ველორბოლაში (ანტალია-იზმირი, 6 ეტაპი, დისტანციის საერთო სიგრძე 950 კილომეტრი). სხვათა შორის, ამ შეჯიბრებაში საკმაოდ ძლიერი გუნდები და ველოსიპედისტები მონაწილეობდნენ და რობერტ ცხოვრებაძის მიერ დაკავებული XV ადგილი, თავისთავად, მრავლის მეტყველი ფაქტია.

ველოტურში, უმთავრესად, ქუთაისელი სპორტსმენები გამოდიოდნენ (დამატებული ჰყავდათ მხოლოდ რობერტ ცხოვრებაძე), რაც, პირველ ყოვლისა, ქალაქის მერის, ბატონ თეიმურაზ შაშიაშვილის დამსახურებაა. ასეთი ყურადღება, დარწმუნებული ვართ, ხელს შეუწყობს სპორტის ამ სახეობის შემდგომ აღმავლობას ქუთაისში. და კიდევ ერთი, არანაკლებად საინტერესო ინფორმაცია: როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა გვითხრა, ცხოვრებაძე იასპარეზებს ინგლისში, ოლიმპიურ კვირეულზე. იმისათვის, რომ იქაც არ შეირცხვინოს თავი, ცხოვრებაძეს უახლოეს მომავალში დაგეგმილი აქვს გამოსვლა როსტოვის ტურში, რომელიც ოლიმპიური კვირეულის პროგრამით მოეწყობა.

**სურათზე: რობერტ ცხოვრებაძე და მისი მწვრთნელი ალექსანდრე თავაძე.**

## ინფორმაცია

### ველოსპორტი

„შევარდენის“ ღია ჩემპიონატი. თბილისელებთან ერთად მონაწილეობდნენ ქუთაისის და ქარელის ველოსიპედისტები. 10 კმ. დროზე მოიგო ქუთაისელმა დავით შავგულიძემ — 15.20 წამი. მეორე იყო ფინიშზე გარი ბეგლაროვი („შევარდენი“) — 15.23,28, მესამე — რომან ცხოვრებაძე („მართვე“) — 15.28.52.

70-კილომეტრიანი ჯგუფური რბოლა პრიზიორებმა საათსა და ორმოცდაექვს წუთში, ასეთი თანმიმდევრობით დაამთავრეს: დ. შავგულიძე, რ. ცხოვრებაძე, ვაჟა ძიგავა. (ქუთაისი).

ასპარეზობის ბოლო ეტაპზე (თბილისი — წითელი ხიდი — თბილისი, სიგრძე 80 კმ) თავიდან ლიდერთა ჯგუფში იყვნენ დ. შავგულიძე, ვ. ძიგავა, რ. ცხოვრებაძე, კ. აბაიშვილი და თითოეულს ჰქონდა გამარჯვების შანსი, მაგრამ ფინიშამდე, სულ ახლოს საბურავი დაუზიანდა რ. ცხოვრებაძეს და იგი გამოეთიშა ბრძოლას.

ფინიში პირველმა გადაჰკვეთა ვ. ძიგავამ, მეორე იყო კ. აბაიშვილი, მესამე — დ. შავგულიძე. აქაც მანძილის გავლას სამივემ ერთნაირი დრო — 2:06.02 მოანდომა.

## ხუთი რგოლის გარშემო

**ატლანტის** 1996 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა ათენის საზოგადოებრიობას წარუდგინეს ოლიპიური ჩირაღდნის ფუტლიარის ნიმუში. მისი სიგრძეა 81,2 სმ. დამზადებულია იგი ალუმინის, ხისა და ოქროსაგან. პრეზენტაციაზე, რომელსაც აშშ-ს მხრიდან ესწრებოდა საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელი ბილ ჰეინი, საბერძნეთის მხრიდან კი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ანტონის ციკასი, ითქვა, რომ ცეცხლოვანი ესტაფეტის საერთო მარშრუტის სიგრძე ოლიმპიიდან ატლანტამდე 15 ათასი მილი (24139 კმ) იქნება.

**სანქტ-პეტერბურგის** მერი ანატოლი სობჩაკი დაჯილდოვდა ოლიმპიური ორდენით. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი ჯილდოს გადასცემს სობჩაკს 6 მაისს, თანამეგობრობის ქვეყნების სპარტაკიადის გახსნის დღეს, რომელზეც პრეზიდენტი აპირებს ჩასვლას.

**სოკ-ი** თანახმაა გაუზარდოს ფინანსიური დახმარება იმ ფედერაციებს, რომლებიც შედიან ზაფხულის ოლიმპიური სახეობების საერთაშორისო ფედერაციების ასოციაციაში, მძლეოსნობის ფედერაციის (იააფი) პრეზიდენტის პრიმო ნებიოლოს განცხადებით, ყველა ფედერაცია ერთი დიდი ოჯახის წევრია და „მდიდრები“ (ფეხბურთი, კალათბურთი, მძლეოსნობა) უნდა დაეხმარონ „ღარიბებს“. ამასთან, სამარანჩმა განაცხადა, რომ თამაშების ტელეგადაცემებიდან მიღებული თანხა განაწილდება ძველი წესით.

**გამოცხადდა**, რომ ატლანტის ოლიმპიადის მარათონელთა შეჯიბრება დაიწყება 4 აგვისტოს 18 საათსა და 30 წუთზე, იმ ანგარიშით, რომ იგი დამთავრდეს თამაშების დახურვის საზეიმო ცერემონიალის წინ. სინოპტიკოსები ამ დღეს დიდ სიცხეს ვარაუდობენ.

**ატლანტაში** ოლიმპიური თამაშებისთვის მშენებარე ათი ახალი ობიექტიდან დამთავრდა უკანასკნელის — კალათბურთის სასახლის მშენებლობა, რომელიც დაჯდა 8 მილიონი დოლარი. 5 700 მაყურებლისთვის ნავარაუდევ დარბაზში გაიმართება მხოლოდ რამდენიმე წინასწარი შეხვედრა. ტურნირის მთავარი მატჩები, მათ შორის, ნახევარფინალები და ფინალები მოეწყობა „ჯორჯია დოუმში“, რომელიც გაცილებით მეტ მაყურებელს იტევს.

## რა ხდება ქვეყანაზე

**მონიკა** სელეშის ოფიციალური ჭაპელაციის მიუხედავად, ჰამბურგის სასამართლომ ძალაში დატოვა თავისი განაჩენი გიუნტერ პარხეს მიმართ, რომელმაც ორი წლის წინათ დანით დაჭრა მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი ჰამბურგში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის დროს. როგორც ჩოგბურთელის ადვოკატებმა განაცხადეს, ამ გადაწყვეტილების (ორი წლით პირობითი პატიმრობა) გასაჩივრება არათუ შეიძლება, აუცილებელიცაა სამართლიანობის ალსადგენად.

**პროფესიონალ** ველოსიპედისტთა მნიშვნელობით მეორე მრავალდღიანი ველორბოლა „ჯირო დ'იტალია“ (კლასიფიკაციით და მნიშვნელობითაც პირველი ფრანგული „ტურ დე ფრანსი“ გახლავთ) წლეულს უჩვეულოდ ადრე მოეწყობა — 13 მაისს — 4 ივნისს. იტალიაში უკვე გამოცხადდა იმ 11 გუნდის ვინაობა, რომლებიც საპრიზო ადგილებისათვის იბრძოლებენ. მათ გარდა იტალიის ტურში იასპარეზებენ: „ფესტინა“ (ანდორა), „კასტორამა“ (საფრანგეთი), „ტელეკომი“ (გერმანია), „ტვმ“ (ჰოლანდია), „სიკაზალ-აკრალი“ (პორტუგალია, აკი (მონაკო), „მერკატონე უნო“ (სან-მარინო), „ბანესტო“, „კელმა“, „ონსე“ (სამივე — ესპანეთი).

**ეთიოპიის** სპორტის სამინისტრომ დაშალა და დაითხოვა მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია. ბრალდება საკმაოდ მძიმე იყო: ფედერაციის წევრები გართული ყოფილან სულ სხვა საქმიანობით და არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ სპორტსმენთა სოციალურ და ყოფით მოწყობას, ვარჯიშისათვის ნორმალური პირობების შექმნას. ერთი სიტყვით, არ ასრულებდნენ თავიანთ პირდაპირ მოვალეობას.

## საქართველოს თასი ფეხბურთში

### პირველი ნახევარფინალური მატჩები — სტუმართა სცენარით

### რუსთავი

13 აპრილი. „მეტალურგის“ სტადიონი. 4000 მაყურებელი. „მეტალურგი“ (რუსთავი) — „დინამო“ (ბათუმი) 0-0. მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი), მ. მირცხულავა (ლანჩხუთი), ზ. დოლიძე (თბილისი).

„მეტალურგი“: კოროშინაძე, ქველაძე, ბურნაძე, არჩვაძე (ზირაქიშვილი) კობიაშვილი, მურ. ყაველაშვილი, ტარტარაშვილი, გ. კილასონია, პერტია, მეტრეველი (ჩალაძე), ალადაშვილი.

„დინამო“: ბალაძე, გოგიტაძე, შანიძე, ფუტკარაძე, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ხომერიკი (უჯმაჯურიძე), ტულუში, ამბიძე (კანტიძე).

გააფრთხილეს შეყილაძე, ტარტარაშვილი.

შარშანდელი „შეურიგებელი მტრები“ კვლავ თასის ნახევარფინალში „დაეჯახნენ“ ერთმანეთს. თუ სტუმრებმა პრაქტიკულად უძლიერესი შემადგენლობის გამოყვანა შეძლეს, ამას ვერ ვიტყვით რუსთაველებზე, რომლებსაც რამდენიმე დაშავებული მოთამაშე აკლდათ, პირველ ყოვლისა, მთავარი ბომბარდირი ვალერი კილასონია. ამიტომაც რუსთაველთა მწვრთნელმა რ. ძოძუაშვილმა გ. კილასონიას დამხმარედ მცველი არჩვაძე მიუჩინა, მაგრამ ამ სიახლემ არ გაამართლა და მთელი პირველი ტაიმი გ. კილასონია ფაქტიურად მარტო ებრძოდა ბათუმელ მცველებს. მხოლოდ თამაშის მეორე ნახევარში, რაც მოედანზე შეცვლაზე გამოსულები ზირაქიშვილი და ჩალაძე გამოჩნდნენ, მასპინძლებმა შეძლეს რამდენიმე მეტად სახიფათო იერიშის მიტანა ბალაძის კარზე.

რაც შეეხება ბათუმელებს, ისინი არ ჩქარობდნენ, დინჯად აკონტროლებდნენ ბურთს,. საფუძვლიანად ამზადებდნენ შეტევებს და მხოლოდ ამის შემდეგ წინ აგზავნიდნენ ხომერიკის მისამართით, რომელიც „მეორე სართულზე“ აშკარად სჯობდა რუსთაველ მცველებს.

განმეორებითი შეხვედრა 15 მაისს გაიმართება.

### ზუგდიდი

13 აპრილი. „ოდიშის“ სტადიონი. 6.000 მაყურებელი. „დინამო“ (ზუგდიდი) — „დინამო“ (თბილისი) 3-4. მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), ლ. რაზმაძე (გორი), გ. ასკარ-ოღლი (ქარელი).

„დინამო“ (ზგ.) ჰანტურია, ახვლედიანი, ძალამიძე, თუთბერიძე, მიქაძე, ქაძანაია, კვარაცხელია, კუტალია, დარასელია, გაბისონია (წიტაიშვილი), გაბედავა;

„დინამო“ (თბ.) ზოიძე, ბერაძე, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, ანჩაბაძე, ცქიტიშვილი, ჯამარაული, იაშვილი (დემეტრაძე), ქინქლაძე, მიხ. ყაველაშვილი (პეტრიაშვილი).

გოლები: ანჩაბაძე, ჯამარაული, დარასელია (პენალტით), ქინქლაძე (პენალტით), ქაძანაია (2), ლობჟანიძე.

ზუგდიდელებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს მატჩისადმი და არც შემცდარან, — გვიყვება ამ შეხვედრის ინსპექტორი ა. დურსუნიში, — თამაში მეტად დაძაბული გამოდგა.

მატჩი ორმხრივი შეტევებით დაიწყო. მე-13 წუთზე ქინქლაძემ მწვავე პასით გარღვევაზე გაიყვანა იაშვილი, რომლის ჩაწოდების შემდეგ ანჩაბაძემ ეფექტური გოლი გაიტანა. გაშვებული ბურთის მერე ზუგდიდელები ბევრს ეცადნენ დაელაშქრათ ზოიძის კარი, მაგრამ საბოლოო დარტყმები უზუსტო იყო. მატჩის მეორე ნახევარშიც უტევდნენ მასპინძლები, ხოლო თბილისელები სახიფათო კონტრშეტევებს ახორციელებდნენ. ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევის დროს ზუგდიდელმა მცველმა საკმაოდ არაპროფესიულად სცადეს ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნა, რისთვისაც ისინი ჯამარაულმა დასაჯა. ამის შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა და გუნდებმა „ღია“ ფეხბურთი აირჩიეს და რამდენიმე გოლის ცქერით „დაასაჩუქრეს“ მაყურებელი.

ჯემალ ჭიპაშვილი

## გავრილ კაჩალინი: ვსწავლობდი ჩემი გუნდებისგან

(დასაწყისი 1-ელ გვ.)

სათვის. ჯერ კიდევ, როცა ვთამაშობდი — გუნდში ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი, მახსოვს — ყველა თამაშს, წაგების შემდეგაც კი, ბანკეტი მოჰ-ყვებოდა.

X X X

როგორც ვთქვი, გუნდში მართლაც საინტერესო მოთამაშეებმა მოიყარეს თავი.

64 წელს სრულიად ახლებურად ათამაშდა მიშა მესხი, აცხონოს ღმერთმა. მანამდე, ერთი წლის წინ, იგი დაითხოვეს ნაკრებიდან და მთელი მონდომებით ცდილობდა თავი გამოეჩინა. ყველამ იცოდა მისი ფინტების კასკადი, საყვარელი გასვლა ბურთიანად მარჯვნივ... მაგრამ ვერაფერს უხერხებდნენ: გადაუჭრელი პრობლემა იყო ტანდაბალი მესხისათვის მცველის მიჩენა, ხელს ვერ ჰკრავდი, ხვლიკივით გაგიძვრებოდა... სლავა მეტრეველი — ისიც უნიკალური მოთამაშე იყო, მისი სისწრაფე ფეხბურთელისათვის ფენომენალური გახლდათ: ას მეტრს 11 წამში გარბოდა. შეგვეძლო მთელი კავშირიდან შეგვერჩია გუნდში მოთამაშეები, მაგრამ არა, საკუთარი ძალებით ვიბრძოდით.

X X X

უნდა გამოგიტყდეთ, არ მეგონა, რომ მეტრეველის ცენტრფორვარდის პოზიციაზე გადაყვანის ექსპერიმენტი ასე გაგვიმართლებდა. ვეთამაშებით, ვთქვათ, მოსკოვის „დინამოს“. მეტრეველი მეტოქისათვის მოულოდნელად, შეტევის თავში აღმოჩნდა. მოსკოველები სახტად დარჩნენ, თამაშის ბოლომდე ვერაფერი მოუხერხეს მას და დამარცხდნენ.

მას შემდეგ, რაც სეზონის განმავლობაში ტრავმის გამო გამოგვაკლდნენ ნამდვილი ოსტატები გივი ჩოხელი და მურთაზ ხურცილავა, დაცვის ბრძოლისუნარიანობა უნდა აგვემაღლებინა. ვიფიქრე თამაშის მთელი აქცენტი შეტევაზე გადაგვეტანა, მაგრამ ახალგაზრდა დუბლიორებმა, რომლებმაც ჩოხელი და ხურცილავა შეცვალეს, ყველას გასაკვირად, „ფრიადზე“ გაართვეს თავი თავიანთ მოვალეობას. კავშირში ერთადერთი გუნდი ვიყავით, ვინც შემოიღო დუბლისა და ძირითადი შემადგენლობის ერთობლივი ვარჯიში.

X X X

პიჟონობაც იყო. ყოველთვის როდი ვახერხებდი მის დაძლევას. გამარჯვების შემდეგ გუნდი ერთობ მოშვებული გამოდიოდა მომდევნო მატჩზე. როგორც კი ცხვირში წკიპურტს მივიღებდით, გონს მოვეგებოდით, ტორპედოელებთან გადამწყვეტ ორივე შეხვედრაში ყოყლოჩინობის ამ ტვირთის ჩამოცილება იყო ჩემი მთავარი მიზანი.

X X X

...ივანოვიცა და ვორონინიც — ორივე უმაღლესი კლასის მოთამაშეები, ამიტომაც ადვილი როდი იყო მათი სათანადო „მეურვეობა“. მაგრამ ეს აუცილებელი გახლდათ ტორპედოელთა სათამაშო ქარგის მოსაშლელად. ჟორა სიჭინავამ ივანოვი მთლიანად გამოთიშა თამაშიდან. გახსოვთ, იგი ტაშკენტის მატჩში შეცვალეს კიდეც... ჩვენი დაცვა, ვფიქრობ, ვორონინსაც გაუმკლავდა, თუმცა მან თბილისში მაინც გაგვიტანა გოლი. მაგრამ ეს გოლი, უპირველეს ყოვლისა, შემთხვევითი იყო. ვორონინი ხშირად და მოულოდნელად ურტყამდა ბურთს, რითაც მუდმივად მუქარას უქმნიდა ჩვენს კარს. მაგრამ ტორპედოელთა გუნდის ისტორიაში ყველაზე ძნელი იყო სტრელცოვისათვის „გასაღების“ მორგება“. ზორბა ტანის, სხარტი მოთამაშე. როგორც წესი, ერთი „მეურვე“ მასთან ვერაფერს ხდებოდა, მას დამხმარე სჭირდებოდა. რადგან ერთს თავბრუს ასხამდა.

X X X

...სასოწარკვეთა? არა, არ ყოფილა. კი, მატჩის დამთავრებამდე თხუთმეტი წუთით ადრე ვიგებდით, მაგრამ წამითაც არ დავეჭვებულვარ, რომ გოლს გავუტანდით. შეგვეძლო გაგვეშვა ბურთი? კი. მაგრამ „ტორპედოს“ იმ წუთებში შეტევა აზრადაც არ მოსვლია... ჩვენთვის გოლი დროის საქმე იყო... (გავრილ დიმიტრის ძე კვლავ ტაშკენტის მატჩს იხსენებს).

ალბათ, მიგაჩნიათ, რომ დათუნაშვილის გოლი კუთხურიდან ღმერთის ფეშქეში იყო? სისულელეა! დათუნაშვილი ასეთ ჩახვეულ დარტყმას უშუალოდ კორნერიდან, ნებისმიერი ფლანგიდან ხშირად ხვეწავდა წვრთნაზე. თუმცა, ალბათ შეცდა ტორპედოელთა მეკარე ედუარდ შაპოვალენკო. ივანოვის შეცვლამაც ფსიქოლოგიურად ხელ-ფეხი შეუკრა ჩვენს მეტოქეებს.

X X X

ბევრი ცდილობდა მაშინ არბიტრების „მოსყიდვას“, რაც არასოდეს მიკისრია. მაგრამ მსაჯებს დიდი ყურადღებით ვადევნებდი თვალს. საგანგებო კარტოთეკაც მქონდა, რომლის მიხედვითაც ვაფრთხილებდი გუნდს თითოეული არბიტრის მსაჯობის თვისებებზე. ჩემპიონატის მთავარ მატჩს ახალგაზრდა, ნაკლებად ცნობილი, რიგელი რუბენისი უნდა მომსახურებოდა, რასაც სავსებით გაართვა თავი, თუმცა მატჩამდე ჩემთვის გამოცანას წარმოადგენდა მისი მსაჯობა.

X X X

ტაშკენტიდან დაბრუნებულებს მთელი ქალაქი დაგვხვდა აეროპორტში. ეს დაუვიწყარი რამ იყო... პატარა, სამმილიონიანი რესპუბლიკა და სსრ კავშირის ჩემპიონი! მთავარ ქუჩაზე — რუსთაველის გამზირზე — დემონსტრაცია, ნამდვილი ზეიმი მოეწყო.

X X X

იმიტომ წავედი, რომ თითქმის წელიწადი მოწყვეტილი ვიყავი ოჯახს, ხანდახან თუ ჩამოვიდოდი მოსკოვში ცოლ-შვილის სანახავად. ორიოდე დღითაც ჩამოვფრენილვარ, თბილისის „დინამოს“ ხარჯზე, რაც ჩემდამი გუნდის დამოკიდებულების კიდევ ერთი დასტურია. რა თქმა უნდა, მთხოვდნენ, ძალიან მთხოვდნენ დავრჩენილიყავი...

X X X

მრავალჯერ მითქვამს გუნდისათვის: „თქვენგან ვსწავლობ“. თბილისელებში, საერთოდ, ქართველებში, პირველად ვნახე თუ როგორ შეუძლია ქვეყანას ფეხბურთით რომ იცხოვროს, რამდენის მიცემა შეუძლია მას მოთამაშეებისათვის, და აგრეთვე, მოეთხოვოს მათ. ოცდათხუთმეტათასიანი სტადიონი ყოველთვის გადაჭედილი იყო, ბევრი რჩებოდა გარეთ და რადიოთი ისმენდა რეპორტაჟებს, ნებისმიერ მეტოქესთან გამარჯვებას მთელი რესპუბლიკა ზეიმობდა...

იური ბოლიშაკი,

„მოსკოვსკი კომსომოლეცი“.

19.03.95 წ.

## ვანდალიზმი და ფეხბურთი შეუთავსებელია!

**გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიის სხდომა, რომელზეც განიხილეს ბოლო ხანს ეროვნული ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებზე მომხდარი სხვადასხვა დარღვევები.**

2 აპრილს ქუთაისის „ტორპედო“ იღებდა ფოთის „კოლხეთი-1913“-ის საფეხბურთო კლუბს. მასპინძელთა ვეტერანმა ფეხბურთელმა მ. მეგრელაძემ შეურაცხყოფა მიაყენა თამაშის არბიტრს ო. გუნთაძეს, რისთვისაც კომისიამ მას ერთწლიანი დისკვალიფიკაცია გამოუტანა და 50 მილიონი კუპონით დააჯარიმა.

7 აპრილს ფოთელები იღებდნენ „სამტრედიის“ გუნდს. მას შემდეგ, რაც მასპინძლებმა პირველი გოლი გაიტანეს, თამაში 7 წუთით შეწყდა, ვინაიდან სამტრედიელებმა მიიჩნიეს, რომ ბურთი თამაშგარე მდგომარეობიდან გავიდა. სხდომაზე „სამტრედიის“ გუნდი გააფრთხილეს და დააჯარიმეს 30 მილიონი კუპონით.

აღმაშფოთებელი ფაქტი მოხდა 10 აპრილს ლანჩხუთში „გურია“ — „კახეთის“ მატჩის შემდეგ: მასპინძელთა გუნდის ფეხბურთელმა მ. თევზაძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს ლ. რაზმაძეს. შემდეგ კი მსაჯთან ანგარიშსწორება განაგრძო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გულშემატკივარმაც. კომისიის გადაწყვეტილებით მ. თევზაძე დისკვალიფიცირებულია ერთი წლით და დაჯარიმებულია 50 მილიონი კუპონით. დისკვალიფიცირებულია, აგრეთვე, „გურიის“ სტადიონიც (2 თამაში), თანაც მას დაედო ფულადი ჯარიმა (50 მილიონი კუპონი).

## ჩვენი მეტოქე უიმედო აუტსაიდერი როდია!

(დასაწყისი 1-ელ გვ.)

ბულგარელებსა და გერმანელებს.

მოლდაველებთან გამარჯვებამ ალბანელებს ფრთები შეასხა. მათი ნაკრები ტრადიციულად ყალიბდება დედაქალაქის ორი გუნდიდან და ჩვენც მათზე შევჩერდებით.

**ტირანის „დინამო“** 1944 წელს დაარსდა. რამდენიმეჯერ მონაწილეობდა ევროპული თასების გათამაშებაში. თამაშობს საკუთარ „დინამოს“ სტადიონზე (21 ათასი ადგილი), მისი ფეხბურთელები შეადგენენ ნაკრების ბირთვს. წლების განმავლობაში აქ გამოდიოდნენ ალბანეთში კარგად ცნობილი ოსტატები აჰმეტდანი, ალუნი, კანი, კეკო, დუმა, იბერსჰიმი, იარეკი, პარნასკა, რამა, სეიდინი, ჰხაფა.

**ტირანის „პარტიზანი“** თავის ძირითად მეტოქეზე სულ ერთი წლით ახალგაზრდაა, 1945 წელს დაარსდა. იგი, ისევე როგორც „დინამო“, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელია, რამდენიმეჯერ მონაწილეობდა ევროპული თასების გათამაშებაში, სადაც, სხვათა შორის, „დინამოზე“ უკეთესი საერთო მაჩვენებლები აქვს, „პარტიზანსაც“ აქვს საკუთარი სტადიონი — „ქემალ სტაფა“ (24 ათასი ადგილი).

დანარჩენი წამყვანი კლუბები — ტირანის „17 ნენდორი“, ფლორას „ფლამურტარი“, ელბასანის „ლაბინოტი“, შკოდრას „ვლაზნია“ ნაკრებში ნაკლებად არიან წარმოდგენილი. საინტერესოა, რომ სადღეისოდ ალბანელ ფეხბურთელთაგან ყველაზე დიდი სახელი ადრიან კოზნიკუს აქვს, მაგრამ იგი... ხორვატიის მოქალაქეა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ უეფას ოფიციალურმა ბიულეტენმა „უეფა ფლეშმა“ გამოაქვეყნა კონტინენტის ქვეყნების კოეფიციენტები, 1989-90-1993-94 წლების სეზონების შედეგების მიხედვით და ალბანეთი იმ ქვეყნებს შორის აღმოჩნდა, რომლებიც 22-36-ე ადგილებზე განლაგდნენ და ამდენად უეფას მორიგ თასზე თითო გუნდით წარსდგებიან. მცირე განსხვავებას მათ კოეფიციენტებს შორის რაიმე მნიშვნელობა არ მიენიჭება. აი ეს ჯგუფიც: 22. უნგრეთი (8.416), 23. ნორვეგია (8.332), 24. ლატვია (7.000), 25. უკრაინა (6.999), 26. ისლანდია (6.666), 27. ფინეთი (6.333), 28. კვიპროსი (6.332), 29. უელსი (6.000), 30-31. ალბანეთი, სლოვენია (4.333 თითოეულს), 32. ხორვატია (4.000), 33. ჩრ. ირლანდია (3.998). 34. ირლანდია (3.665), 35. მალტა (3.331), 36. საქართველო (3.000).

ამ ცხრილში მკითხველს შესაძლოა ზოგიერთი რამ უცნაურად მოეჩვენოს, ზოგიც, ცხადია, ახსნას მოითხოვს, საქართველოს ესოდენ მოკრძალებული ადგილი ნაკრების თამაშების მეტად მცირე რაოდენობით აიხსნება, ისევე, როგორც ხორვატიის ნაკრებისა, რომელიც საყოველთაო აღიარებით, ახლა ერთ-ერთი უძლიერესია ევროპაში. რა თქმა უნდა, იგივე შეიძლება ითქვას ირლანდიელებზეც.

ალბანელებმა უარი განაცხადეს ზაფხულში ითამაშონ უეფას ახალ საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც „ინტერტოტი“ ჰქვია. რატომ? მათთვის სრულიად საკმარისია უეფას ტრადიციულ საკლუბო ასპარეზობებზე გამოსვლაც, რომელსაც, ცხადია, ევროპის ახლანდელი ჩემპიონატიც ემატება, თუმცა ამაში ისინი მარტონი არ არიან. სხვადასხვა მიზეზით „ინტერტოტოში“ მონაწილეობაზე უარი თქვეს რუსეთმა, ესპანეთმა, იტალიამ, უკრაინამ, მოლდოვამ, ლატვიამ, ჩრ. ირლანდიამ.

მაშ ასე, ალბანელები კონცენტრირებული არიან ევროპის ჩემპიონატზე, სადაც თავს აუტსაიდერებად არ მიიჩნევენ.

გივი გამრეკელი

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

● **კორეის რესპუბლიკას** არავითარი სურვილი არა აქვს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს იაპონიასთან საზიაროდ უმასპინძლოს, — განაცხადა კულტურისა და სპორტის მინისტრმა ჩო ლინ სიკმა. ჩვენ დიდი ხანია ვემზადებით ამ ასპარეზობის ჩასატარებლად და სრულებით არ გვჭირდება თანამოზიარე. არადა, ჩემპიონატის ერთობლივად მოწყობის იდეა ეკუთვნის აზიის ფეხბურთის ასოციაციას, რომელსაც ამ კომბინაციით მილიონობით დოლარის დაზოგვა სურდა.

### „ლივერპული“ — ლიგის თასის მფლობელი

ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე 75.600 მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა ინგლისის საფეხბურთო ლიგის თასის ფინალური მატჩი. ცნობილი „ლივერპულის“ წინააღმდეგ თამაშობდა მეორე დივიზიონის კლუბი „ბოლტონ უონდერერსი“.

უკიდურესად დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ლივერპულელთა გამარჯვებით — 2-1, ამასთან, ორივე ბურთი გაიტანა მაკმანამანმა (საპასუხო გოლის ავტორი იყო ტოპსონი).

აღსანიშნავია, რომ „ლივერპულმა“ მეხუთედ მიაღწია ლიგის თასის მფლობელის ტიტულს, რაც ახალი რეკორდია ამ თასის გათამაშების ისტორიაში. 4-4 ასეთი გამარჯვება აქვთ წარსულში მოპოვებული „ნოტინგემ ფორესტსა“ და „ასტონ ვილას“.

● **ნლეულს დეკემბერში მოეწყობა რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრების კენჭისყრა: 8 დეკემბერი (შვეიცარია) — თასების თასისა და უეფა-ს მეოთხედფინალური წყვილები; 9 დეკემბერი (შვეიცარია) — იუნიორთა ორი მსოფლიო ჩემპიონატი: 16 და 18 წლამდე ფეხბურთელთათვის; 12 დეკემბერი (პარიზი) — მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირები. 17 დეკემბერი (ბირმინგემი) — ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის ფინალი.**

## პროფესიულ რინგზე

# ოლივერ მაკოლი — ლერი ჰოლმსი

### შაბათ საღამოს ლას-ვეგასის სასტუმრო „სიზარს პალასში"

— მადლობა ღმერთს, რომ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, ამჯერად მაინც, არ ერგო პენსიონერს! ეს აზრი ლეიტმოტივად გაჰყვა კვირას, 10 აპრილს ამერიკაში გამოსულ ყველა გაზეთს. მიმომხილველები სხვადასხვაგვარად გამოთქვამდნენ კმაყოფილებას იმის გამო, რომ 45 წლის ინგლისელმა ლერი ჰოლმსმა ვერ შეძლო ოქროს ქამრის მოგება ვბს-ს ვერსიით მსოფლიოს ამჟამინდელ ჩემპიონთან ოლივერ მაკოლისთან.

რამდენიმე დღით ადრე, მოკრივეთა მსოფლიო კავშირის პრეზიდენტმა ხოსე სულეიმანმა სპეციალური პრიზი გადასცა მაკოლის, როგორც საუკეთესო მოკრივესა და ჩემპიონს მძიმე წონაში. დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდა ლერი ჰოლმსიც, რომელმაც კორესპონდენტებს განუცხადა: „თუ ფორმენი გახდა ჩემპიონი 45 წლის ასაკში, რატომ ვერ უნდა შევძლო ეს მე? თუ დავამარცხე მაკოლი, შევხვდები ფორმენსაც და მერე უკვე სრული უფლება მექნება თავი დავანებო კრივს".

კრივს ჰოლმსმა მართლაც დაანება თავი, ოღონდ, ვადამდე, სწორედ მაკოლისთან ბრძოლის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, ცხელ გულზე ასე განუცხადა ჟურნალისტებს. არადა, როგორც გაზეთები იუწყებიან, ბრძოლა სულ არ იყოო წასაგები. პირველ ექვს რაუნდში ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია უპირატესობას. მეშვიდე რაუნდიდან მაკოლიმ გაზარდა ტემპი, რასაც ოპონენტი, ბუნებრივია, ადექვატურად ვერ პასუხობდა. ჰოლმსი შემდგომშიც გამოირჩეოდა ტექნიკით, გამოცდილებით, საზრიანობით, მაგრამ მას აშკარად არ ეყო სისწრაფე და ძალა. სამივე არბიტრმა 12 რაუნდის შემდეგ მაკოლის გამარჯვება აღნიშნა (114:113, 115:114, 115:112), მაგრამ ზოგიერთი ჟურნალისტის აზრით, ასეთი გამარჯვება უფრო დამარცხებასა ჰგავდა.

ამ დღეს ლას-ვეგასის „სიზარს პალასის" რინგზე კიდევ ერთი მსოფლიო ჩემპიონის ტიტული გათამაშდა მძიმე წონაში, ოღონდ ვბა-ს ვერსიით (მოკრივეთა მსოფლიოს ასოციაცია). რამდენიმე ხნის წინ ამ ორგანიზაციის ოქროს ქამარს ჯორჯ ფორმენი ფლობდა, მაგრამ ტიტული ჩამოართვეს, ვინაიდან უარი თქვა №1 პრეტენდენტთან ტონი ტაკერთან შეხვედრაზე და მეტოქე თვითონ დაინიშნა — გერმანელი აქსელ შულცი.

ტაკერს ბრიუს სალდონთან მოუხდა ბრძოლა, რომელიც ექიმის ჩარევის შემდეგ შეწყდა მეშვიდე რაუნდში (ტაკერს დაუზიანდა თვალი). ამ გამარჯვებით ახალგამომცხვარ ჩემპიონს გაუჩნდა მაიკ ტაისონთან შეხვედრის შანსი.

მძიმე წონაში ამჟამად სამი მსოფლიოს ჩემპიონია: ჯორჯ ფორმენი (იბფ-ს ვერსიით), ბრიუს სელდონი (ვბა) და ოლივერ მაკოლი (ვბს). არ არის გამორიცხული, რომ მაიკ ტაისონი მორიგეობით შეხვდეს სამივეს.

## ავთანდილ პაიჭაძე



ეს ბოლო ხანია თვე არ გავა, რომ იმათ რიგებს, ვინც ოდესღაც სათავეში ედგა ჩვენს ფეხბურთს, ვინც თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადასცა ტრადიციები, ათეულ წლობით ემსახურა საყვარელ საქმეს, არ გამოაკლდნენ ღირსეულთა შორის ღირსეულნი, დამსახურებულნი, ღვაწლმოსილნი, უშურველი მოამაგენი.

და აი, კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი: 72 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა ჩვენი ვეტერანი ფეხბურთელი, ძველი ოსტატი ავთანდილ პაიჭაძე. მოულოდნელადო, ვამბობთ იმიტომ, რომ სულ მცირე ხნის წინ სასიკვდილო მას, თითქოს, არაფერი სჭირდა.

ა. პაიჭაძე 1923 წელს დაიბადა ფოთში, აქ მიიღო დაწყებითი განათლება, ფეხბურთის პირველი გაკვეთილები, შემდეგ კი თბილისში გადმოვიდა თავის უფროს ძმასთან ბორის პაიჭაძესთან, სწავლობდა 1-ელ საცდელ სკოლაში, მერე-თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე.

დიდ ფეხბურთში პირველი ნაბიჯები გადადგა „შრომითი რეზერვების" საკავშირო ნაკრებში, სადაც იგი გავრილ კაჩალინმა მიიწვია ბავშვობაში, შემდეგ იყო „კრილია სოვეტოვში", თბილისის არმიის სპორტკლუბის გუნდში, უმაღლეს ლიგაში ითამაშა თბილისის „სპარტაკში", გახლდათ მისი კაპიტანიც, დაბოლოს, თავის ძმასთან — თბილისის „დინამოში", ბორის პაიჭაძის გვერდით ძველ გულშემატკივრებს კარგად ემახსოვრებათ მისი ტემპერამენტიანი, აზარტიანი, ენერგიული თამაში, მაღალტექნიკური დრიბლინგი.

სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სამეურნეო სამსახურში, წლების მანძილზე იყო „საქსპორტვაჭრობის" დირექტორი. აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციაში. მისი სპორტტექნიკური კომისიის თავმჯდომარედ.

ამ ცხოვრებიდან გავაცილეთ დამსახურებული ადამიანი, კეთილშობილი პიროვნება. ძველ გულშემატკივრებს მუდამ ემახსოვრებათ ეს თვითმყოფადი, ორიგინალური ფეხბურთელი.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი.

## გიორგი (გივი) გაბიტაშვილი



შარშან ამ დროს ქართული ტანვარჯიშის შესანიშნავ მოამაგეს გ. გაბიტაშვილს დაბადებიდან 80 წლისთავი მიულოცა ჩვენმა გაზეთმა და, წარმოიდგინეთ, წლების ტვირთი სულაც არ ეტყობოდა. ეგ კი არა, მისთვის, ამას წინათ უთხოვიათ სპორტსკოლაში, დროებით, მწვრთნელი შეეცვალა. უყოყმანოდ დათანხმებულა და ჩვეული გულმოდგინებით შედგომია თადარიგს, მაგრამ... არ დასცალდა — წავიდა ამ ქვეყნიდან ვალმოხდილი მოქალაქე, ღვაწლმოსილი აღმზრდელი, დამსახურებული მწვრთნელი და პედაგოგი, რომელიც 55 წელიწადი მუხლჩაუდრეკლად ემსახურა ჩვენს სპორტს.

უმაღლესი ფიზკულტურული განათლების მიღებისთანავე ახალგაზრდობის აღზრდას ჩაუდგა სათავეში, იყო რაიონული სპორტსკოლის დირექტორი.

მისი ტალანტის, როგორც მწვრთნელის, სრული გამომჟღავნება ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ მოხდა — სათავეში ჩაუდგა ქალთა ტანვარჯიშს. მან შექმნა შესანიშნავ სპორტსმენთა უძლიერესი ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ მომავალი სპორტის ოსტატები და საკავშირო და რესპუბლიკურ ასპარეზობათა გამარჯვებულები: რუსუდან ჯინჭარაძე, მზია მონიავა, ლორეტა ზვიადაძე, მარინა აბულაძე და ბევრი სხვა.

ღვაწლისათვის, რომელიც მან დასდო ტანმოვარჯიშეთა თაობების აღზრდას, მინიჭებული ჰქონდა სახალხო განათლების წარჩინებულისა და ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებები.

გ. გაბიტაშვილი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. რაოდენ დასანანია, რომ ამიერიდან ამ სათნო, საოცრად კეთილი აღმზრდელის სახელს მისი მეგობრები და მოსწავლეები წარსულში მოიხსენიებენ.

საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია, გიორგი ეგნატაშვილის სახელობის თბილისის განათლების სამართველოს ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშული სპორტსკოლა.

## რა ხდება ქვეყანაზე

ევროპის ჩემპიონი კალათბურთში კლუბებს შორის გახდა „რეალი" (მადრიდი), რომელმაც ფინალში „ოლიმპიაკოსს" (საბერძნეთი) აჯობა 73:61 (38:28). სნაიპერები: საბონისი („რეალი") — 23 ქულა და ვოლკოვი („ოლიმპიაკოსი") — 15. III ადგილისათვის ბრძოლაში „პანათინაიკოსმა" (საბერძნეთი) მოუგო „ლიმოჟს" (საფრანგეთი) სნაიპერები: ალვერტისი („პანათინაიკოსი") — 29 და იანგი („ლიმოჟი") — 24.

ბრაზილიის ცნობილი ავტოდრომის „ჟაკარეპაგუას" ნაწილი მოკლე დროში გადაკეთდება „ინდიკარის" ამერიკული სერიის რბოლისათვის. ტრეკის მშენებლობა შეფასებულია 122 მილიონ დოლარად. მისი სიგრძე იქნება 2,89 კმ. საორგანიზაციო კომიტეტის ვარაუდით წრიული ტრასა დამთავრდება აგვისტოსათვის, რათა ოქტომბერში „ინდიკარის" ავტომობილისტებმა შეძლონ შეჯიბრებაში მონაწილეობა.

ინგლისის გაზეთ „თუდეის" ცნობით 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონს „ფორმულა 1"— ში, გერმანელ პილოტს მიჰაელ შუმახერს, რომელსაც ბოლო დროს ფატალურად არ სწყალობს ბედი, გადაწყვეტილი აქვს „ინდიკარის" ამერიკულ სერიაში გადასვლა.

ჩოგბურთელთა ევროპის თანამშრომლობის ჩემპიონატი, რომელიც ტრადიციულად შემოდგომაზე ანტვერპენში ეწყობა და რომლის მთავარი პრიზი ბრილიანტებით მოოჭვილი ჩოგანი გახლავთ, წლეულს ალბათ არ გათამაშდება. მიზეზი ისაა, რომ ორგანიზატორები დანიშნული დროისათვის ვერ ასწრებენ დარბაზის რეკონსტრუქციას.

პეკინში გაიმართა პანაზიის მოკრივეთა ასოციაციის დამფუძნებელი ყრილობა, რომელშიც მონაწილეობდნენ ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების — ჩინეთის, რუსეთის, მონღოლეთის, ახალი ზელანდიის, აგრეთვე, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების —ყაზახეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთის, თურქმენეთის პროფესიონალური კრივის წარმომადგენლები. პრეზიდენტად, ერთხმად, აირჩიეს იანგსუპ შიმი (კორეა), ვიცეპრეზიდენტებად კი ივან ყონიჩი (ახალი ზელანდია) და ვიქტორ აგეევი (რუსეთი).

იტალიას სურვილი აქვს უმასპინძლოს მძლეოსანთა 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს. ანალოგიური სურვილი უკვე გამოთქვეს: საბერძნეთმა, ფინეთმა, ესპანეთმა და ინდოეთმა. იტალიელები ჩემპიონატის მოწყობას რომში ვარაუდობენ.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი წყალბურთში დაისაკუთრა უნგრეთის „ვაშაშმა", რომელმაც ფინალური სერიის ორივე მატჩი მოუგო იტალიის „პესკარას" შინ — 8:5 და სტუმრად — 9:6.

ნეპალის ეროვნული ბიუჯეტის დიდი ნაწილი დგება იმ თანხებისაგან, რომელიც შეაქვთ უცხოეთის მთასვლელებს ჰიმალაის ყოველწლიური ექსპედიციების მოსაწყობად. გამოანგარიშებულია, რომ 5-კაციანმა ექსპედიციამ მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის — ევერესტის (8848 მ) შტურმისთვის უნდა გადაიხადოს 50 ათასი დოლარი.

ჩატანუგაში (ტენესის შტატი, აშშ) დამთავრდა მსოფლიო თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში — გუნდური ტურნირი, რომელშიც ამერიკელი ათლეტების გარდა, თურქეთის, ირანის, იაპონიის, კანადისა და რუსეთის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ აშშ-სა და რუსეთის გუნდები. გამარჯვება წილად ხვდათ მასპინძლებს — 20:18, რომლებმაც დაისაკუთრეს კიდეც საპატიო პრიზი. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: 2. რუსეთი, 3. თურქეთი, 4. ირანი, 5. კანადა, 6. იაპონია.

23 ივნისს — ოლიმპიურ დღეს, გაიმართება საერთაშორისო ზეიმი იმასთან დაკავშირებით, რომ 80 წლის წინ ლოზანაში ბინა დაიდო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბმა. ეს მოხდა 1915 წლის 10 აპრილს, როცა კუბერტენმა ხელი მოაწერა შეთანხმებას ლოზანის მუნიციპალიტეტთან.

ჩოგბურთის სამყაროში მორიგი სენსაციაა: გამოცხადდა, რომ წლევანდელ უიმბლდონზე შტეფი გრაფი და მარტინა ნავრატილოვა ერთად იასპარეზებენ ქალთა წყვილებში, 38 წლის მარტინა ცხრაჯერ იყო უიმბლდონის ჩემპიონი ერთეულებში და შვიდჯერ წყვილებში. 25 წლის შტეფი გრაფის მაჩვენებლები უფრო მოკრძალებულია: უიმბლდონის ჩემპიონი პირადში მხოლოდ ხუთჯერ, წყვილებში კი ერთხელ.

„ტურ დე ფრანსის" ოთხგზის ჩემპიონმა, ესპანელმა ველოსიპედისტმა მიგელ ინდურაინმა მოაწყო პრესკონფერენცია, რომელზეც ოფიციალურად განაცხადა, რომ გამოტოვებს წლევანდელ „ჯირო დ' იტალიას" (ეს რბოლა მას ორჯერ აქვს მოგებული). მიზეზად სპორტსმენმა დაასახელა გრიპი და ამის გამო მიღებული ბევრი ანტისეპტიკები, რომელმაც შესამჩნევად დაასუსტა. არადა, „ჯიროში", მისი თქმით, ბლომადაა სამთო ეტაპი, რასაც კარგი ფიზიკური მომზადება სჭირდება.

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ბოლო რეიტინგით ვაჟთა კლასიფიკაციაში ანდრე აგასიმ გაუსწრო პიტ სამპრასს, რომელიც მსოფლიოს №1 ჩოგბურთელი იყო 1993 წლის 13 სექტემბრიდან. აგასის ამჟამად 4403 ქულა აქვს, სამპრასს — 4216. ცვლილებები მოხდა ქალთა კლასიფიკაციაშიც. მათ შორის მთავარი ის გახლავთ, რომ შტეფი გრაფმა პირველი ადგილი დაიბრუნა.

ლას-ვეგასის „გრანდ-ოტელის" დირექტორ-პრეზიდენტმა ლარი ვულფმა ხელი მოაწერა ოცდაათთვიან კონტრაქტს მაიკ ტაისონთან. ხელშეკრულების თანახმად, მსოფლიოს ექსჩემპიონი კრივში ვალდებულია ყველა თავისი ორთაბრძოლა გამართოს ამ სასტუმროს რინგზე. სხვათა შორის, „გრანდ-ოტელის" სცენა უცხო არ არის ბარბარა სტრეიზანდისთვის, ელტონ ჯონსისთვის, „როლინგ სტოუნზისთვის" და ა. შ.

ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა (უსი) გამოაცხადა წლევანდელი სეზონის ახალი რეიტინგი. სიაში პირველ ადგილზე არიან იტალიელი ველოსიპედისტები, რომლებსაც უკვე მოგებული აქვთ 51 სტარტი. ამ მაჩვენებლით მეორეა ბელგია (14 პირველი ადგილი), მესამე — კოლუმბია (13). ინდივიდუალურ ჩათვლაში ლიდერობს იტალიელი სტეფანო კალაჯე („ზეტ ჯი მობილის" გუნდი) — 8 გამარჯვება. მომდევნო ადგილებზე არიან მარიო ჩიპოლინი (იტალია, „მერკატონე") — 7 და ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, „ონსე") — 7. საინტერესოა, რომ მსოფლიოს უძლიერესი ველოსიპედისტები ტონი რომინგერი და მიგელ ინდურაინი რეიტინგში ჯერჯერობით არ ფიგურირებენ.

შარშან ნოემბერში ცნობილმა ბულგარელმა მძლეოსანმა, ევროპის ჩემპიონმა თარჯრბენში სვეტლანა დიმიტროვამ თვითნებურად დატოვა სამშობლო და მეზობელ ავსტრიაში დაფუძნდა. ბულგარეთიდან გაქცევის მიზეზი იყო უთანხმოება მწვრთნელთან და მეუღლესთან ილია პისჩიკოვთან. ავსტრიაში ემიგრირებულმა ჩემპიონმა ვერ ნახა ვერც სპონსორი და ვერც მწვრთნელი, ამის გამო ისევ თავის მეუღლეს დაუბრუნდა.

რუმინეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა დაამტკიცა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მძლეოსნის გალინა ასტაფეის დისკვალიფიკაცია, რომელმაც მიიღო გერმანიის მოქალაქეობა და 1996 წელს ატლანტაში თავისი ახალი სამშობლოს ღირსების დაცვას აპირებდა. მაგრამ რუმინეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა ოლიმპიური ქარტიის 46-ე მუხლის თანახმად, უარი უთხრა ასტაფეის დისკვალიფიკაციის ვადის შემცირებაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ატლანტაში მას რუმინეთის სახელით გამოსვლა მოუხდება.

ვესტეროსში (შვეცია) „თავგადაპარსულმა" ექსტრემისტებმა, რომლებიც პოლიციის ჩვენებით მთვრალები იყვნენ და ნარკოტიკების გარკვეული დოზაც ჰქონდათ მიღებული, მოკლეს 21 წლის ადგილობრივი ჰოკეისტი პეტერ კარლსონი. ამ ვანდალური აქტისადმი პროტესტის ნიშნად მოეწყო 20 ათასკაციანი მიტინგი, რომლის მონაწილენი მოითხოვდნენ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრებას.

ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში, ცურვის საერთაშორისო ფედერაციის ბიუროს სხდომაზე მსოფლიოს 1994 წლის საუკეთესო მოცურავედ ავსტრალიელი კირენ პერკინსი გამოაცხადეს.

ოქტომბერში ვენასა და პარიზში გაიმართება მსოფლიო სუმოს დიდოსტატების ტაკანოხანასა და აკემონოს საჩვენებელი გამოსვლები. საინტერესოა, რომ სუმოსტთა პირველი ასეთი საჩვენებელი გამოსვლა უცხოეთში მოეწყო 1965 წელს მოსკოვის სპორტის სასახლეში.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯილაური.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

## მძლეოსნებმა წარმატებით გამოიზამთრეს

წლევანდელი მძლეოსნური სეზონის ზამთრის პერიოდი წარმატებით დასრულდა — გაუმჯობესდა შვიდი მსოფლიო რეკორდი დარბაზებისთვის. ამათგან რეკორდების ცხრილში სამი შესწორება შეიტანეს ვაჟებმა და ერთიით მეტი — ქალებმა. საერთო აღიარებით, ჯერჯერობით ბადალი არა ჰყავს რუს სპრინტერ ირინა პრივალოვას, რომელმაც ოთხ დისტანციაზე აჩვენა საუკეთესო შედეგი, ამათგან ორი მაჩვენებელი — რბენა **50** და **60** მეტრებზე ახალი მსოფლიო რეკორდებია. მსოფლიოს რეკორდები გააუმჯობესეს, აგრეთვე, ჰოკით მხტომელმა — სუნ ცაიუნმა (ჩინეთი) და სამმხტომელმა იოლანდა ჩენმა (რუსეთი). ვაჟებში რეკორდსმენები არიან დიდბრიტანელი ლინფორდ კრისტი (**200** მ), ამერიკელი მაიკლ ჯონსონი (**400** მ) და კენიელი მოზეს კიპტანუი (ყველა ზემოჩამოთვლილი რეკორდი დარბაზებისაა).

გადავხედოთ მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა სიას **1995** წელს დარბაზებში მიღწეული შედეგების მიხედვით:

ვაჟები:
50 მ. ჰენრი ნილი (აშშ) 5,63
60 მ. ბრუნი სურინი (კანადა) 6,40
200 მ. ლინფორდ კრისტი (დიდი ბრიტ.) 20,25 მს. რ.
400 მ. მაიკლ ჯონსონი (აშშ) 44,63 მს. რ.
800 მ. ნიკო მოტჩებონი (გერმანია) 1.44,88
1000 მ. ვენუსტე ნიონგაბო (ბურკ.) 2.15,62
1500 მ. მურედინ მორსელი (ალჟირი) 3.34,29
1 მილი მარკუს ო' სალივანი (ირლანდია) 3.56,48
3000 მ. მოზეს კიპტანუი (კენია) 7.35,15 მს. რ.
50 თარჯ. მარკ მაკოი (ავსტრია) 6,39
60 თარჯ. ალენ ჯონსონი (აშშ) 7,38
სიმაღლე. სორინ მატეი (რუმინეთი) 2,38
ჭოკი. სერგეი ბუბკა (უკრაინა) 6,00
სიგრძე. ივან პერდოზო (კუბა) 8,51
ბირთვი. კოტრელ ჰანტერი (აშშ) 21,22
შვიდჭიდი. კრისტიან პლაზიე (საფრანგეთი) 6246
4X400. აშშ 3.07,37.

ქალები:
50 მ. ირინა პრივალოვა (რუსეთი) 5,96 მს. რ.
60 მ. ირინა პრივალოვა (რუსეთი) 6,92 მს. რ.
200 მ. ირინა პრივალოვა (რუსეთი) 22,10
400 მ. ირინა პრივალოვა (რუსეთი) 50,23
800 მ. მარია მუტოლა (მოზამბიკი) 1. 57,62
1500 მ. ლიუბოვ კრემლიოვა (რუსეთი) 4.10,41
1 მილი. რეჯინა ჯეკობსი (აშშ) 4. 26, 54
3000 მ. ლინი ჯენინგსი (აშშ) 8. 52, 49.
50 მ. თარჯ. ჯეკი ჯოინერ-კერსი (აშშ) 6,67
60 მ. თარჯ. პატრიცია ჟირარი (საფრანგეთი) 7,84
სიმაღლე. გალინა ასტაფეი (გერმანია) 2,04
ჭოკი. სუნ ცაიუნი (ჩინეთი) 4,15 მს.რ.
სიგრძე. ჰაიკე დრექსლერი (გერმანია) 7,04
სამხტომი. იოლანდა ჩენი (რუსეთი) 15,03 მს.რ.
ბირთვი: ლარისა პელეშენკო (რუსეთი) 19,93
ხუთჭიდი. სვეტლანა მოსკალეცი (რუსეთი) 4867
4X400. რუსეთი 3.29,29

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-4[illegible] ინდექსი 66435 INDEX. ● დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) შედის გაზეთის ფასში.